ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/8 1736-17

"25" 12 2017 წ.

დადგენილება №002933
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

25.12.2017წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2017 წლის 23 ოქტომბრის №002933 მითითება და 2017 წლის 13 ნოემბრის №002933 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. "ვივა ბაგები"-ს (ყოფ. შ.პ.ს. "დემაქს ბაგები", საიდენტიფიკაციო კოდი №405129613, დირ. ნიკა ბულია, პირადი №19001096829, მის: ქ. თბილისი, მ. ქანთარიას ქ. №12, ბ. №16) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №17-ის მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილი №15, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი №17, საკ. კოდი №01.14.07.004.068-ში შ.პ.ს. "ვივა ბაგები"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2876858 AR1439425 06.10.2016წ. (№2880630 AR1447048 07.10.2016წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადი 1-9 ღერძებში: 2-2 და 8-8 ღერძებზე მდებარე ტიხრებს მონაცვლებული აქვს ადგილი. გეგმების მიხედვით: -2.800 ნიშნულზე: ე-დ მონაკვეთში შეცვლილია პანდუსის გაბარიტები. 0.000 ნიშნულზე: ე-ე ღერძის გარეთ 2-5 მონაკვეთში გაუქმებულია კოლონები. 9-9 ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კოლონები. 9-9 ღერძზე დ"-დ" და ა-ა ღერძის მიმდებარედ შეცვლილია პილონის ფორმა. +29.050 ნიშნულზე: პილონების ნაცვლად მოწყობილია კოლონები. +35.450 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კოლონები, +39.050 ნიშნულზე გაზრდილია სართულშუა გადახურვის ფილის გაბარიტები, რის ხარჯზეც შეცვლილია სართულის კონფიგურაცია და გაზრდილია შიდა ფართი. +35.450 ნიშნულზე 4-5 მონაკვეთში გაუქმებულია კიბე. 7-9 მონაკვეთში გაზრდილია აივნების სიგანე. შენობაში დამატებით მოწყობილია რიგელები და საკომუკაცია შახტებისთვის განკუთვნილი ღიობები. მონოლითური და აგურის კედლები ერთი ფაქტურით არის ნაჩვენები პროექტში. შეცვლილია რელიეფი.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2017 წლის 23 ოქტომბერს შედგენილ იქნა მითითება №002933, რომლითაც მსარეს განესაზღვრა ოცი კალენდარული დღის ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2017 წლის 13 ნოემბერს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №002933, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა, კერძოდ, ნაწილობრივი შესრულება. მხარის მიერ წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3442359 AR1522201 01.08.2017წ. (№3654134 AR1553293 02.11.2017წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი, რომლითაც კორექტირებულ იქნა მხოლოდ შემდეგი დარღვევები: +35.450 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კოლონები, +39.050 ნიშნულზე გაზრდილია სართულშუა გადახურვის ფილის გაბარიტები.

2017 წლის 30 ნოემბერს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ მხარეს ეცნობა სათანადო წესით. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "ვივა ბაგები"-ს დირექტორი ნიკა ბულია (პირადი №19001096829), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მანვე აღნიშნა, რომ კვლავ აპირებენ პროექტის კორექტირებას, ვინაიდან, №3442359 AR1522201 01.08.2017წ. (№3654134 AR1553293 02.11.2017წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი სრულად არ მოიცავს მითითებით გათვალისწინებულ დარღვევებს, ადგილზე დარჩენილი დარღვევების გამოსწორება არის შეუძლებელი. წარმოდგენილია ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

საქმეშია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება ბ60.01173452 11.12.2017წ. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654134 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე."

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. "ვივა ბაგები"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №17-ის მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილი №15, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი №17, საკ. კოდი №01.14.07.004.068-ში შ.პ.ს. "ვივა ბაგები"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2876858 AR1439425 06.10.2016წ. (№2880630 AR1447048 07.10.2016წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ვივა ბაგები" დაჯარიმდეს 4000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ვივა ბაგები"-ს დაევალოს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ვივა ბაგები"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე მ. ჯაფელი

სს „ხალიკ ბანკი საქართველო"

საგადახდო დავალება **№** 425882

25 დეკემბერი 2017

გადამხდელი შპს ვივა ბაგები

საიდენტ.ნომერი 405129613 გადამხდელის ანგარიში GE96HB0000000001303605

გადამხდელის ბანკი ბანკის კოდი HABGGE22

სს ხალიკ ბანკი საქართველო,

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

დასახელება შპს ვივა ბაგები,

საიდენტიფიკაციო კოდი / პირადი ნომერი 405129613

მიმღები სახელმწიფო ხაზინა

საიდენტ. ნომერი მიმღ.ანგ./სახაზინო კოდი 300773263

მიმღების ბანკი/ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,

გადახდის დანიშნულება: დადგენილება N001149 - ის საფუძველზე

დამატებითი ინფორმაცია:

კლიენტის ხელმოწერები: ბ. ა.

თანხა

5000-00

GEL

თანხა სიტყვიერად

ხუთიათასი ლარი და 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

შემოსვლის თარიღი 25 დეკემბერი 2017

გატარების თარიღი 26-12-2017

ხელმოწერა

ს.ს. ხალიკ ბანკი საქართველო ცენტრალური ფილიალი
J.S.C. HALYK BANK GEORGIA CENTRAL BRANCH
HABGGE22
4

შტამპი

საგადახდო დავალება № 319350

სს „ხალიკ ბანკი საქართველო"
25 დეკემბერი 2017

გადამხდელი შპს ვივა ბაგები

საიდენტ.ნომერი 405129613 გადამხდელის ანგარიში GE96HB0000000001303605

გადამხდელის ბანკი
სს ხალიკ ბანკი საქართველო, ბანკის კოდი HABGGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
დასახელება შპს ვივა ბაგები,
საიდენტიფიკაციო კოდი / პირადი ნომერი 405129613

მიმღები სახელმწიფო ხაზინა

საიდენტ. ნომერი მიმღ.ანგ./სახაზინო კოდი 300773263

მიმღების ბანკი/ხაზინა
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ბანკის კოდი TRESGE22

გადახდის დანიშნულება: დადგენილება N002933 - ის საფუძველზე

დამატებითი ინფორმაცია:

კლიენტის ხელმოწერები:

თანხა

4000-00
GEL

თანხა სიტყვიერად
ოთხიათასი ლარი და 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები
შემოსვლის თარიღი 25 დეკემბერი 2017
გატარების თარიღი 28-12-2017
ხელმოწერა
შტამპი

სს ხალიკ ბანკი საქართველო ცენტრალური ფილიალი
J.S.C. HALYK BANK GEORGIA CENTRAL BRANCH
H A B G G E 2 2